წელიწადი მეორე ფასი 5 კაპ. პარასკევი, 29 მკათათვე 1916 წ. № 168

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი ... ...

ომის ამბები

ბრძოლის ველზე

კავკასიის ბრძოლის ველზე მდგომარეობა თან და თან უფრო საყურადღებო ხდება. ოსმალების ჯარი გაბედულად უტევს მუშ-ბითლის-ვანის-ურმიის-სენნესის და ქერმანშაჰ-ხამადანის ხაზით და ალაგ-ალაგ რუსის ჯარს უკან ახევინებს. მთავარ შტაბის დეპეშა ამბობს, რომ ამ ადგილებში ბრძოლას სასტიკი ხასიათი მიეცა. უფრო საყურადღებო ის არის, რომ ოსმალეთის ჯარის მარცხენა ფრთა წინ მოიწევს მაშინ, როდესაც თვით რუსეთის ჯარი მას გვერდიდან უტევს ქ. კიგის სამხრეთით და ამ მიმდინარეობით მას ზურგიდან ემუქრება. მართალია, მეტად მთიან ალაგების გადალახვა მოუხდება რუსეთის ჯარს, მაგრამ ხიდათი მაინც ძლიან ახლოა და თუ მაინც და მაინც ოსმალეთის ჯარი შეტევას განაგრძობს და წინაც მოიწევს, ჩანს, ალბათ ამ ადგილებში საკმაოდ ძლიერი საფრეში აქვს გაკეთებული. ჩვენ არ ვიცით, თუ რამოდენათ წინ წამოიწიეს ოსმალებმა და ან დაახლოვებით რომელ ადგილებში ხდება ბრძოლა. უკვე შემოხვეცა გვქონდა წინად მოგითხრა, რომ ოსმალები უფრო ბუნის მიმართულებით დაიწყებდენ აქტიურ შეტევას, რადგან თვითონ მდგომარეობა ამ ადგილებისა (სწორეთ აქედან მიდის კავკასიის საზღვრისაკენ რამდენიმე შარა გზა), მეტად ხელსაყრელია ოპერაციების ფართო წარმოებისათვის.

სამაგიეროდ არც რუსეთის ჯარი არის გულხელ დაკრეფილი, იგიც წინსვლას განაგრძობს და ბარფუთს ემუქრება, ისინ გათავდება ეს მეტად მნიშვნელოვანი ოპერაცია მალე გავიგებთ.

აღმოსავლეთ ასპარეზიდანაც მნიშვნელოვანი ცნობები მოდის. გენ. ლეჩიცკის არმიამ ქ. ტისმენიცა იღო. ჩვენ გუშინვე განვმარტეთ ამ ქალაქის მნიშვნელობა და თანაც დავძენდით, რომ რუსეთის ჯარი უსათუოდ შეეცდებოდა იმის აღებას. ამავე დროს გადალახეს მდ. კოროლეეი და ნიენიუკ-მონასტერჟისკის რკინის გზა დაიკავეს. მართლდება ჩვენ მიერ გამოთქმული აზრი. გენ. ლეჩიცკი წვერით უვლის ავსტრიელებს და ცდილობს სტანისლავოვს გალიჩის ხაზით გავიდეს, რომ ზურგიდან მოექცეს ტარნოპოლ-ლოვაზე დაბანაკებულ ჯარს. ამავე დროს კალედინის არმია თითქოს ახმაურდა ერთის წვერით. ალბად ეს გამოწვეული იყო მდ. სტოხოდზე დაწყებულ ბრძოლით. საერთოდ რუსეთის ბრძოლის ველზე მდგომარეობა ასეთია: გალიციაში რუსეთის ჯარი წინ მიიწევს, პოლონეთის ასპარეზი კი თითქმის გაიყინა და აქ აქტიურ მოქმედებას ვერსად ვერა ვხედავთ.

დასავლეთის ბრძოლის ასპარეზზე გერმანელები შეტევას განაგრძობენ.

X.

ომის დეპეშები

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა

პეტროგრადი, 27 მკათათვე. ოფიციალი. რუსეთის ასპარეზი. სვინიუხის აღმოსავლეთ-მიდამოებში ჩვენმა ჯარმა მტერს შეუტია და თხრილების ნაწილი ხელთ იგდო. აქ ჩვენ ტყვედ წამოვიყვანეთ 13 აფიცერი და 600 ჯარის კაცი. მდ. კოროპეცზე ჩვენმა ჯარმა მტერი უკან დასწია და მდ. დნესტრის შესართავთან მარცხენა ნაპირი დაიჭირა. დნესტრის სამხრეთით გენ. ლეჩიცკის ჯარმა შეტევით აიღო მტერი რამდენიმე სოფელი მიტოვებინა. აქ ჩვენ მდ. ტლუმაჩს მივაღწიეთ. საღამოს 6 საათზე 26 მკათათვეს ჩვენმა ჯარმა ქ. ტისმენთელა აიღო; აქვე ჩვენ დნესტრის ჩრდილოაღმოსავლეთით და ვორონის მარჯვენა ნაპირი ხელ ვიჭეთ. გენ. ლეჩიცკის ჯარმა 25 მკათათვეს ტყვედ წამოიყვანა 88 აფიცერი და 7,400 ჯარის კაცი. ამთგან 3,500 გერმანელია. ამას გარდა დავლად დაგვრჩა: 5 ზარბაზანი, 63 ტყვიისმფრქვეველი, ყუმბარის მტყორცნელი და ყუმბარის ყუთები

კავკასიის ასპარეზი. გიუმირ-ხანეს დასავლეთით რუსის ჯარმა ოსმალების ერთი სიმაღლე აიღო და ტყვედ წამოიყვანა 5 აფიცერი (ამათში ბათალიონის უმფროსი), 38 ჯარის კაცი და ხელთ იგდო მრავალი იარაღი. კიგის მიმართულებით ოსმალები შეტევას ჭლამობდნენ, მაგრამ ჩვენ იერიშით შევეგებეთ. შემდეგ ამისა ჩვენი ჯარი თვით ეკვეთა იერიშით მტერს და კიგის სამხრეთით სოფ. ხოგოსი აიღო. მუშისა და ბითლისის მიდამოებში, აგრეთვე ვანისა და ურმიის ბრძოლის ხაზზე მკაცრი ბრძოლები არ შეწყვეტილა. თვალსაჩინო ბრძოლა ხდება აგრეთვე ქერმანშაჰის და ხამადანის შუა. მუშისა და ბითლისის მიდამოებში მტრის ძლიერმა შეტევამ გვაიძულა სამხრეთისაკენ დაგვეწია.

შენიშვნა: ფრიდრიხშტადტის მიდამოებში შფრინავმა ტისვენკომ მეთვალყურე კონდრიუკოვის თანხლებით მტრის ბრძოლის ხაზი დაზვერა. მიუხედავად იმისა, რომ მტრის „ალბატროსებმა“ და ზარბაზნებმა მფრინავს ყუმბარები დაუშინეს, ტისვენკო შეუფერხებლად განაგრძობდა ზვერას და თან მტერს იგერიებდა. მაგრმ მალე მტრის ზარბაზნის ყუმბარამ მფრინავს ცეცხლი გაუჩინა და მტრის ბანაკის მახლობლად ძირს დასცა. მფრინავის და მზვერავის ბედი გამოურკვეველია.

პეტროგრადი, 27 მკათათვე. ოფიციალი. რუსეთის ასპარეზი. ჩვენი ჯარი მდ. კოროპეცის მარჯვენა ნაპირზე გავიდა და ველუსნოვის დასავლეთით მტერს რამდენიმე სიმაღლე წართვა. ამასთანავე ჩვენმა ჯარმა ნიკნიუვ-მონასტერჟისკოს რკინის გზაზე დნესტრის ხიდის სამხრეთით რამდენიმე სიმაგრე ხელთ იგდო. უკან დახევისას მტერმა ხიდი დაანგრია. აქ მოწინააღმდეგე კონტრ-იერიშებით გვეკვეთა, მაგრამ მოვიგერიეთ. შემდეგ ჩვენ თვითონ განვაახლეთ იერიშები და 5 აფიცერი და 414 ჯარისკაცი ტყვედ წამოვიყვანეთ. ამას გარდა მრავალი საომარი მასალა, ტყვიის მფრქვეველი და ზარბაზანი დავლად დაგვრჩა.

ქ. ტისმენიცის მიდამოებში სტანისლავოვის მიმართულებით ჩვენმა მოწინავე რაზმებმა ტერიტორიაზე წინ წაიწიეს.

პარიზი, 27 მკათათვე. ოფიციალი. საღამოს 5 საათის ცნობა. სომმის ჩრდილოეთით ჩვენმა ჯარმა ხელთ იგდო პატარა ტყე და ამ ტყის ჩრდილოეთით მდებარე მტრის სანგრები. 2 დღის განმავლობაში ჩვენმა ჯარმა 300—500 მეტრით წინ წაიწია. ბაპანში გუშინ საღამოთი ინგლისელ და „193“ სიმაღლის ჩრდილოეთ—დასავლეთით გერმანელები ჩვენს სიმაგრეებს იერიშებით ეკვეთნენ. იერიშები მოვიგერიეთ და მტერი გავფანტეთ. მაასის მარჯვენა ნაპირზე—ტიიომონ-ფლერის ასპარეზზე სასტიკი ბრძოლაა. ჩვენ მტერს ვიგერიებთ და კონტრ-იერიშების შემწეობით ავიღეთ ნაწილი იმ თხრილებისა, რომელშიაც მტერი ბრძოლის დროს ჩასაფრდა.

ვო-შაპიტრ-შენუას ასპარეზზე ჩვენ მტრის თხრილების ერთი წყება ავიღეთ. თხრილებში 100 დახ დაჭრილ-დახოცილი გერმანელი აღმოვაჩინეთ.

აქ ტყვედ წამოვიყვანეთ 200 კაცი —ამათში 6 აფიცერია. დავლად დაგვრჩა 6 ტყვიისმფრქვეველი.

მფრინავთა მოქმედება, გუშინ საღამოს 8 საათზე მტრის მფრინავმა ქ. ნანსის 4 ყუმბარა ესროლა. დაიჭრა 5 მოქალაქე, ერთი მათგანი მძიმედ.

პარიზი, 27 მკათათვე. ოფიციალი. სომმის ჩრდილოეთით გერმანელებმა კონტრ-იერიშები განაახლეს და სცდილობენ ენის ტყის ჩრდილოეთით ამ ორი დღის განმავლობაში დაკარგული თხრილები დაიბრუნონ. კონტრ-იერიშებს ვიგერიებთ და მტერს დიდს ზარალს ვაყენებთ.

შინის მიდამოებში—საარტილერიო ბრძოლაა. გერმანელებმა ერთ ადგილას ჩვენი თხრილები ხელთ იგდეს, მაგრამ ხელჩართულ ბრძოლის შემწეობით თხრილები უკან დავიბრუნეთ.

მაასის მარჯვენა ნაპირზე ბრძოლა ტიომენის გარშემო სწარმოებს. გერმანელებმა კვლავ ხელთ იგდეს ეს სიმაგრე. ფრანგებმა მათ ზარბაზანს უშენენ. სოფ. ფლერში ფრანგებმა ხელით სასროლ ყუმბარების შემწეობით წინ წაიწიეს და ვო-შაპიტრის ტყეში იერიში მოიგერიეს.

ლონდონი, 27 მკათათვე. ოფიციალი. გილ-ემონის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენ 400 იარდით წინ წავიწიეთ. ბრძოლა ვითარდება. სად. გილიემონის მახლობლად პოზიერის ჩრდილოდასავლეთით, მტერმა ჩვენზე 4 იერიში მოიტანა. 3 იერიში მოვიგერიეთ. მეოთხე იერიშით მტერმა 50 იარდი ჩვენი თხრილებისა წაგვართვა და შემდეგ ლონგვალის ტყეს ზარბაზანი დაუშინა. პოზიერთან დღემ მშვიდად ჩაიარა.

ლონდონი, 27 მკათათვე. ოფიციალი. დღეს დილა ადრიან გერმანელების „ცეპელინები“ ინგლისის აღმოსავლეთ სანაპიროებთან გაჩნდნენ. „ცეპელინები“ ეწვივნენ აგრეთვე შოტლანდიის ნ. პირებს. მფრინავნი ზღვის სანაპირო ქალაქებს უშენდნენ ყუმბარას. მაგრ ინგლისის ზარბაზნებმა სროლა აუტეხეს და მფრინავები უკან გააბრუნეს. მოკლულია 3 დედაკაცი და 1 ბავშვი, დაჭრილი აღმოჩნდა 14 კაცი.

სამხედრო ხასიათის ზარალი ჯერ გამოურკვეველია.

რომი, 27 მკათათვე. ოფიციალი. ლაგორინოს მდელოზე—ბაცხოველებული სხარტლერის ბრძოლაა. ცეგბიოჩეს მთის მიდამოებში ჩვენ მტრის იერიშები მოვიგერიეთ. იზონკოს მიდამოებში, გორიციის ასპარეზზე—გამწვავებული ბრძოლაა. ჩვენი არტილერია ქ. გორიცეს ყუმბარებს უშენს.

24 და 25 მკათათვის განმავლობაში ჩვენ ტყვედ წამოვიყვანეთ 8000 კაცი. ამათში 200 აფიცერია. ხელთ ვიგდეთ 11 ზარბაზანი, 100 ტყვიისმფრქვეველი და მრავალი საომარი მასალა. ომში ჩვენმა მფრინავმა სად. ოპჩინას ყუმბარები დაუშინა. მფრინავი უვნებლად დაბრუნდა უკან.

ეურნალ-გაზეთებიდან

საახალო მოქმედება რუსეთის ასპარეზზე.

როგორც ოფიციალ ცნობებიდან სჩანს, გერმანელებმა რუსეთის ასპარეზზე მოქმედება გააცხოველეს და თითქმის მთელს ასპარეზზე შეტევა დაიწყეს. ეერძოდ მდ. სტოხოდზე გერმანელებმა სასტიკი იერიშები განაახლეს. აღსანიშნავია რომ ამ ბრძოლებში მათი მფრინავთა ფლოტილიები დიდს ენერგიას იჩენენ და ბრძოლის მონაწილენი გახდნენ. რუსის ჯარს ერთ და იმავე დროს ორი იერიშის მოგერიება უხდება: ერთი მტრის ქვეითა ჯარის და მეორე მის მფრინავთა რაზმებისა. მიუხედავად ბრძოლის ამ მძიმე პირობებისა რუსები ჯერ-ჯერობით მარჯვედ იგერიებენ მტრის იერიშებს და ზოგჯერ თვით კონტრ-იერიშების შემწეობით წინ იწევენ.

ბროდის მიმართულებითაც ბრძოლის სიმწვავე გაორკეცდა: აქ რუსებმა მდ. გრაბერკისა და სერეტის შუა რამდენიმე სოფელი წაართვეს მტერს, რომელიც ამჟამად გამმაგებულ იერიშებით სცდილობს, უკან დაიბრუნოს დანაკარგი.

როგორც უკანასკნელ ცნობებიდან სჩანს ავსტრიელებს ახალი მაშველი ჯარი მოსვლიათ: ეს ჯარი ყოველ ძალ-ღონეს ხმარობს შეაჩეროს რუსები, რომელნიც გალიციასა და ჰუნგრეთის ველს ემუქრებიან. აქ, დელიატინის მიმართულებით მტერმა ძლიერი იერიშების შემწეობით რუსის მოწინავე ჯარს უკან დახევინა: ეს უკანასკნელი გარემოება ნათლად ამტკიცებს, რომ აქ ავსტრიელები შეეცდებიან ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიონ რუსის ჯარს, რომელიც ლვოვის სიმაგრეებს ემუქრება.

ბრძოლა პოზიერისა და სომმის მიდამოებში.

გერმანელების უკანასკნელ ოფიციალ ცნობებიდან და ინგლისის ჯარის მთავარშტაბის დეპეშებიდან ნათლად სჩანს, რომ დასავლეთის ასპარეზზე პოზიერისა და სომმის მიდამოებში კვლავ ღირსშესამჩნევი ბრძოლები დაიწყო. ბრძოლა ამ ჟამად ანკრომის და სომმის შუა სწარმოებს. ყველაზე სასტიკი იერიშები და კონტრ-იერიშები მებრძოლთ პოზიერისა, მონაკიესა და მორენის სიმაგრეებზე მიაქვთ. საერთო რიცხვით გერმანელებს სომმის მიდამოებში 300,000 ჯარისკაცისთვის მოუყრიათ თავი, ამას რომ მაუმატოთ ის ჯარი, რომელიც მუდმივად მოქმედობდა ამ ბრძოლის ხაზზე—გამოდის რომ ამ უკანასკნელ ბრძოლებში გერმანელების 450,000 ჯარისკაცი იღებს მონაწილეობას.

მოკავშირეთა მოქმედება სალონიკის ბრძოლის ასპარეზზე.

როგორც დეპეშებით მიღებულ ცნობებიდან სჩანს სალონიკის მიდამოებში ბალკანეთში მომქმედ მოკავშირეთა ჯარს შეტევა დაუწყია. სამხედრო მიმომხილველთა აზრით ამ შეტევას ორგვარი მიზანი აქვს: პირველი მდგომარეობს იმაში, რომ აიძულონ მოწინააღმდეგეს ამ ასპარეზიდან ბრძოლის სხვა ასპარეზზე ჯარების გადაყვანა შეაჩეროს და ამით მოკავშირეთ მდგომარეობა გაუადვილონ; მეორე—ხელი შეუშალონ ბულგარელებს რომ მათ რუმინეთის სახლეობებზე თავისუფლად ჯარს თავი არ მოუყარონ. რამდენად მიახწევენ ამ ორ მიზანს მოკავშირენი ამას მომავალი გვაჩვენებს.

ფელდმარშალი ჰინდენბურგი რუსეთის ასპარეზზე.

ვოლფის სააგენტო იუწყება, რომ ჰინდენბურგი უკვე მოვიდა ვოლინის ბრძოლის ასპარეზზე გენ. ლიუდენდორფის თანხლებით და თავის ახალ თანამდებობის აღსრულებას შეუდგა. როგორც ვრცით ჰინდენბურგი რუსეთის ასპარეზზე მომქმედ ყველა ჯარების მთავარსარდლად დაინიშნა. მას დაექვემდებარენ სარდლები: ლინზინგენი, ბოტმერი, ლეოპოლდ ბავარიელი და სხვ. თვით ავსტრიის ერცჰერცოგნიც კი დიდად კმაყოფილნი არიან ჰინდენბურგის დანიშვნით და სურვილი განაცხადეს ყველა მის განკარგულებას და ბრძანებას უსიტყვოდ დაემორჩილონ. ამ ჟამად ჰინდენბურგი კოველში იმყოფება. [illegible] გერმანელების [illegible] ბით შეხვდა.

დაბეჯითებით ირწმუნებიან, რომ ჰინდენბურგი დაინიშნა სამხედრო თათბირის გადაწყვეტილებით, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ: იმპერატორი ვილჰელმი, ავსტრო-ჰუნგრეთის ბერლინელი ელჩი თავადი ჰოხენლოე-შილინგსფიურსტი, ბურანი, გრაფი ტისსა, ჩიროკი, ოსმალების ბერლინელი ელჩი ხაკკი-ფაშა და ერიკ-ჰერცოგი ფრიდრიხი.

კრაკოვის ციხის უმფროსის განცხადება.

შემდეგი განცხადებით მიმართა ადგილობრივ მცხოვრებს კრაკოვის ციხის უმფროსმა: „აქამდის კრაკოვის და მის მიდამოებში მცხოვრებთ თავისუფლად შეეძლოთ მიმოსვლა. 15 მკათათვიდან ვუკრძალავ მცხოვრებთ ჩემს ნებადაურთველად დასტოვონ ციხე და ქალაქის მახლობელი ადგილები. ამასთანავე ვაფრთხილებ მცხოვრებთ, რომ თუ საჭიროება მოითხოვს მზად იყვნენ ქალაქიდან გასასვლელად“.

რუმინეთის ვითარება.

რუმინეთი საომრად ემზადება. ეს ყველასათვის დღესავით ნათელია. მაგრამ დღეგანდლამდის ჯერ ვერც ერთს დიპლომატს ვერ გადაუწყვეტია: ვის მიემხრობა რუმინეთი და ვის წინააღმდეგ ისხამს იარაღს. მდგომარეობა მეტად რთულია და ამასთანავე გამოურკვეველი! რუმინეთის დიპლომატები დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ რუმინეთის ჯარი მოკავშირეთა წინააღმდეგ არასდროს არ მოიმარჯვებენ იარაღს, რადგან ეს წინააღმდეგი იქნება რუმინეთის ეროვნულ ინტერესებისა და სრულებით არ შეესაბამება თანამედროვე პოლიტიკურ მომენტსაო.

ამავე დროს რუმინეთის მთავრობა ცენტრალურ სახელმწიფოებს და კერძოდ კი გერმანეთს შეძლების დაგვარად ყოველგვარ დახმარებას უწევს. ყველასათვის ცნობილია, რომ რუმინეთმა ამ ბოლო დროს რამდენიმე ათასი ვაგონი ხორბალი დაუმარაგა გერმანეთს, უსაჭიროეს ლითონებით დაკმაყოფილა ავსტრო-ჰუნგრეთის გაჭირვება და სხვა.

ცხადია აგრეთვე, რომ რუმინეთს საომარი მასალა მეტის მეტად სჭირდება, მაგრამ მან მოკავშირე სახელმწიფოებს ამგვარ დახმარებაზე რამდენჯერმე უარი უთხრა.

რუმინეთის ამ გამოურკვეველ მდგომარეობაზე რუსეთის გაზეთები ამ ბოლო დროს ბევრს სწერენ და იმ დასკვნას ადგენენ, რომ რუმინეთის გარეშე პოლიტიკის მომავალი მხოლოდ დმერთმა და ბერლინმა უწყის.

,,ბრძოლა ინდოეთზე“

თამარ მეფე

(თქმული დ. ჩოხატაურში „თამარ მეფის სალამო“-ზე)

ის შარადის სამახსოვრო ქვაბუმი, რომლის შარაგანდედით შემოსილი სახელი ძველ საქართველოს აზუქებს, ხოლო ახალს იმედის წვეთებს აპკურებს, რომლის მოქმედების სიძვირფასე საქართველოს აყვავების ნიადაგი იყო და იქნება, და რომლის გარდაცვალებიდან დაუმორებელ წარსულში შვიდასი წლის შესრულების გამო დღეს ზეიმს ვიხდით, **თამარ მეფე** გახლავთ.

მაისის პირველი რიცხვი, ეს მრავალმხრივ საისტორიო დღე, წელთა მრავალდღიურობას ამშვენებს უფრო იმით, რომ ამ დღეს ხალხის სიყვარულის დაუმხობელ გვირგვინს იდგამს ის უკვდავება, რომლის ცოცხალი სული თამარ მეფის სახელში ცნაურდება...

დღეს, ამ ვაების, ამ „სისხლის წვიმების დროს“, თამარის ხატება უფრო მეტი შუქით იმოსება.. დღეს ხალხი უფრო უკეთა გრძნობს, თუ რა შესძლო უუნიჭიერესმა ქმნილებამ, რომელსაც დღეისთვის ძლიერი მნიშვნელობა აქვს...

გაახედეთ სოფელს, ჩაუკვირდით ხალხს, თვალთა ისარი მთელ მსოფლიოსა სტყორცნეთ და დარწმუნდებით, რომ ძალა ერის თვით არსებობისა, ქონება საკუთარის პიროვნებისა და ნიადაგი ხალხის შრომით მოპოებულ განძისა დამაგრდება იმ დიდებულ კედლებზე, რომელთა შიგან ერის

კეთილდღეობა მოექცეა, და რომელსაც მფარველ-სახურავად ჩვენი ეკონომიური, ნივთიერი, გონებრივი და, ამავე დროს, სულის მტკიცე მდგომარეობა ექმნება... ექმნება იმიტომ, რომ ამას ჩვენი მომავალი მოითხოვს და წარსული კი გვავალებს... საქართველოს ისტორიის ყოველი ფურცელი, თითქმის ყოველი სტრიქონი, უკვდავი მტკიცებაა იმისა, რომ საქართველოს ძლიერება სწორედ ამ სახურავის ქვეშ ისახებოდა...

და თამარ მეფეც ამ დებულების დამცველთა გაბრწყინებული წევრია. სწორედ თამარ მეფეა ის, ვინც, ქალურ სინაზესთან ერთად, ვაჟკაცურის გმირთა-გმირობით აღიჭურვა და საქართველოს ქება-დიდება მოუპოვა. აი, ეს თამარი დაიბადა 1156 წელს, ე. ი. მეთორმეტე საუკუნის მეორე მეთორმეტე საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისს. მაგრამ ჩვენთვის შესანიშნავია უფრო 1184 წელი, რომელიც ჩვენი ისტორიის ფურცლებზე თამარის სახელთან ერთად უნდა ბრწყინავდეს, რადგან ამ წელს მამა მისმა გიორგი მესამემ თამარი მეფედ აკურთხა; ანტონ ქუთათელმა ძოწეულით მოვარაყებული გვირგვინი დაადგა; რაჭის ერისთავმა ხმალი შემოარტყა; მეფემ სამეფო სკიპტრა გადასცა; მიქელ ქათალიკოსმა გვირგვინი უკურთხა; წარჩინებულ პირთ სამეფო საბოსელი ჩააცვეს და ყველამ ერთად-კი ერთგულების სიტყვა ფიცად ჩამოჰქნა... და ამ დღის შემდგომ აბა ვინ იტყვის, თუ ამ ძლევამოსილმა თამარმა შეუმჩნევლად რომელი საკითხი, ხალხთა ცხოვრების რომელი მხარე დასტოვა?!. თამარი არ იყო, რომ მთელი თავისი **ძალები** საქართველოს მტკიცე და კეთილ მთლიანობას შეალია?!. თამარი არ იყო, რომ საქართველო სულისა და რწმენის სიმტკიცის გამომხატველ ეკლესია-ტაძრებით მოოთო-შეამკო?!. თამარი არ იყო, რომ ქვრივ-ობლებსა და დავრდომილებს უხვად ასაჩუქრებდა და შემწეობას აძლევდა?!. კაცის სიკვდილი, წამება და მრავალ გზით დასახიჩრება განა თამარმა არ მოსპო?!. გონებისა და ზნეობის აღსამაღლებლად ნიჭიერ ხალხს გზას არ უკაფავდა?!. ან და, რაც უფრო საჭირო იყო, კანონიერების გამეფებისა თვის თამარი არ იყო, რომ ყოველ ღონეს ხმარობდა?!. საკმარისია მოვიგონოთ მისი გამეფება, სახელმწიფოებრივი ცვლილებანი, მისი ქორწინებანი, დაცემულთა სიბრალული, ამ დროის ისტორიულ-ლიტერატურული უკვდავნი ნაშთნი და ზეციერ თქმული სრულყოფის სიმტკიცით შეიმოსება.

მაგრამ, როგორც ყოველთვის, მის დროსაც იყვნენ ისეთნი პირნი, რომელნიც პირად კეთილდღეობას გაეტაცნა და ერის სიძლიერე სრულიადაც არ აინტერესებდა. ასეთნი იყვნენ საქართველოს პატარ-პატარა ნაწილების მფლობელნი ერისთავები, რომლებმაც ქალის მეფობა თითქმის ითაკილეს, თვისი წარჩინება მოისურვეს და, ამ მიზნით, შეთქმულება მოაწყვეს. ნიჭიერი, შორსმჭვრეტელი თამარი ოდნავაც არ შემკრთალა; ნათლად სწამდა, რომ კინკლაობა საქართველოს ზიანს მიაყენებდა და საქმე დაცხრო მორიგებით, რომლის ნათელსაყოფელად, შეთქმულებთან მოსალაპარაკებლად, ქართლის ერისთავის რატი სურამელის დედა ხოშაქ

ცოქელი და სამძივარების დედა კარავ ჯაყელი გაგზავნა. საქმე დამთავრდა იმით, რომ სახელმწიფოებრივ მართვა-გამგეობიდან სიბერისაგან დაუძლურებულნი დაითხოვა და, მათ მაგიერ, მეამბოხეთა ზოგიერთი წევრი დააყენა. დრო გადიოდა და თამარი ხალხის სათაყვანებელი ჰხდებოდა. ხოლო სამწუხაროდ ეჩვენებოდათ ის, რომ მშვიერებით აღსავსე თამარი უშვილოდ რჩებოდა და საქართველოს უმეფისწულობით დაქაქვა-დანაწილება მოელოდა. სწორედ ეს იყო საპატრო მიზეზი, რომ თამარი დიდებულებმა გათხოვებაზე დაითანხმეს. რომელი სა მეფოს პატრონი იყო, რომ მის მეუღლობას არა ნატრობდა?!. მაგრამ თამართან შეუღლების ბედნიერება რუსეთის მფლობელის დიდი მთავრის ანდრიას ძეს გიორგი რუსა ჰხვდა. სწორედ ამ გიორგის დროს საქართველოს ომი ყარსისკენა და ყარნიფოლისკენ მოუხდა. ამავე დროს შავშეთსა და კლარჯეთს ყარნუ-ქალაქელი, შამელი და გარმიანელი თურქები შემოესივნენ, მაგრამ ბოკო ჯაყელისა და გუზანის გამჭრიახი სარდლობით მტერი დამარცხდა და ორივე ბრძოლის შედეგი საქართველოს სამხიარულო გამარჯვებით და მრავალ კეთილ საქმიანობით აღინიშნა. გიორგი მართლაც დიდის პატივით იხსენიებოდა, მაგრამ დროთა მსვლელობამ გამოაშკარავა გიორგის შინაგანი მხარე, მისი ხასიათის თვისებანი, რომელთაც უფრო საზიზღარი, ლოთი, ველური და არა საკადრისი ადამიანი გვიჩვენეს... გიორგის ასეთმა საქციელმა თამარი აიძულა, სამუდამოდ განშორებოდა... განშორდა კიდეც... როგორ შეიძლება შეგუება ღვთიური ხატებისა და უსინდისო არსებისა; აბა, როგორ მოთავსდებოდნენ ანგელოზი და სატანა, რომელთა ყოფა ერთურთის საწინააღმდეგო სიცოცხლეა! თამარისა და გიორგის ვითარებაც სწორედ ასეთი წინააღმდეგობა იყო. მათმა განშორებამ კი გამოიწვია ის, რომ, ისევ დიდებულთა თხოვნით, თამარი მეორედ გათხოვებასაც დასთანხმდა და, მრავალ პირთა შორის, მეუღლედ თვისად ოსეთის მთავარი დავით სოსლანი აღიარა... ეს დიდებული დღე მ თის ქორწინებისა იმდენად ბრწყინვალე, დღესასწაულის ელფერის მქონე, ღარიბთა საბედნიერო და დავრდომილთა თაყვანსაცემი ყოფილა, რომ ჩვენს ლიტერატურულ შემონაქმედთა სალაროში დღესაც ძირსეულად ინახება იმ დღის მომგონებელი ი. დავითაშვილის ლექი:

„თამარ მეფე დედოფალი,
დედა ქართლისა—თამარი,
სიმშვენიერით მოსილი,
ამომავალი მზის დარი,
დავით სოსლანის მეუღლე,
რომელს უმშვენა მან მხარი;
დიდუბეში იქორწინეს,
სადაც რომ საყდარი არი;
ასი სული ცხვარი დაკლა
და ორასი ნიშა ხარი,
ლურჯი სუფრა გაუშალა
იქნებოდა ასი მხარი;
ქვრივ-ობლებსა დაურიგა
ოქრო, ვერცხლი დიდი ძალი“...

და სხვა.

მაგრამ, როგორა გგონიათ, ის პირნი, რომელნიც თამარით ჯერ უწინაც უკმაყოფილონი იყვნენ, ეხლა ამ ოსის ბრწყინვალე მდგომარეობას შურით არ შეეხედავდნენ?!. სანწუხაროდ, ასეც მოხდა და საქართველოს დიდებულთა ნაწილი, უმეტესად დასავლეთ საქართველოს წარჩინებული პირნი, შეითქვნენ, გიორგი რუსიც გააღიზიანეს, თავის უმფროსად მოიწვიეს და, დაიჭერეს რა მთელი დასავლეთი საქართველო, ქართლ-კახეთსაც გაეამტვერებას უპირებდნენ. ამ დროს ქართველმა ჯარმა აბჯარი აისხა და თარის რჩევითა და კურთხევით, ხოლო დავით სოსლანისა და ზაქარია მხარგრძელის სარდლობა-წინამძღოლობით მოწინააღმდეგენი ისეთ გასაჭირში ჩაცვივდნენ, რომ აჯანყებული დიდებულნი თვის ხელითვე შებრკილნი თამარის წინაშე მოსანანიებლად წარსდგნენ, ხოლო გიორგი რუსი კი დატყვევებული მოიყვანეს... ამ დროს, როდესაც სხვა ვინმე ხელში ჩაგდებულ თავის მოწინააღმდეგეს კბილით დაღრღნიდა, როდესაც ვინმე უკმეხი სულით ზნეობით დაცემულთ უფრო მეტს წამებას განაცდევინებდა და თავზე რისხვის გვირგვინს დაადგამდა, აი, სწორედ ამ დროს თამარმა, ამ კაცთმოყვარეობისა და სპეტაკი ადამიანობის ნიშან-წყალმა, ყველანი შეიბრალა, შეცოდებანი შეუნდო და მათი სახე განთავისუფლებით განაბრწყინა...

გიორგი რუსი და ზოგიერთი შეთქმულთაგანნი შემდეგშიაც არა სცხრებოდნენ, ჩუმსა თუ ცხადლივს ქიშპობას ეწეოდნენ, მაგრამ მათი ბოლო მაინც მათივე დამარცხება იყო... საერთოდ კი თამარის დროის ბრძოლათა შორის უფრო შესანიშნავი შამქორისა და ბასიანის ომები იყო. სწორედ ამ ომების დროს უფრო ძლიერად ჩამოისახა თამარის ის ძლევა-

უკანასკნელი დეპეშები

(პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან)

რუსეთის ასპარეზზე: სვინიუხის მიდამოებში რუსებმა იერიშით მტრის თხრილების ნაწილი აიღეს და 13 ოფიცერი და 600 ჯარისკაცი ტყვედ წამოვიყვანეთ. მდ. დნესტრის სამხრეთით გენ. ლეჩიცკის ჯარმა კვლავ წინ წაწია და მდ. ტლუმაჩის სანაპიროებს მიაღწია. სულ გენ. ლეჩიცკის ჯარმა 25 მკათათვეს 2500 ჯარის კაცი და 88 ოფიცერი წამოიყვანა ტყვედ.

კავკასიის ასპარეზზე: გიუმიშხანეს დასავლეთით რუსებმა წინ წაიწიეს და 5 ოფიცერი და 38 ასკერი ტყვედ წამოიყვანეს. კოგეს მიდამოებში მტერმა იერიშები განაახლა, მაგრამ ჯარმა კონტრ-იერიშებით გაფანტა იგი და სოფ. ხიგოსი აიღო. მუში-ბითლისის, ვანის ხამადანის და ქერმანშაჰის მიდამოებში ბრძოლა არ შეწყვეტილა. მუშისა და ბითლისის ბრძოლის ხაზზე რუსის ჯარმა ჩრდილოეთით უკან დაიწია.

საფრანგეთის ასპარეზზე: მდ. სომის მიდამოებში გერმანელები იერიშებს განაგრძობენ. მაასის მარჯვენა ნაპირზე ტიომონის გარშემო ცხარე ბრძოლაა. აქ გერმანელებმა იერიშით აიღეს სიმაგრენი.

ინგლისის ასპარეზზე: დღეს დილა ადრიან გერმანელების „ცეპელინებმა“ ინგლისის ნანაპირა ქალაქებს ყუმბარები დაუშინეს. მცხოვრებთაგან მოკლულნი აღმოჩნდა 8 ქალი და 1 ბავშვი, დაჭრილი — 14 კაცი.

პროფესორს გარნას ვილჰელმმა მხურვალე სამადლობელი დეპეშა გაუგზავნა იმ სიტყვის გამო, რომელიც წარმოსთქვა ომის მესამე წლის თავზე და ის აზრი გაატარა, რომ გერმანეთის ჯარის მიერ დაპყრობილი ადგილსამყოფელები გერმანელებმა უნდა დაისაკუთრონო.

გერმანელებმა პოლონეთიდან ბუარებელი ხეტყე გაიტანეს.

ვიდრე ჰინდენბურგს აღმოსავლეთის ასპარეზზე დაბრუნებულნენ, ამის თაობაზე ავსტრიის და გერმანეთის შტაბს ორი დღის თათბირი ჰქონდა.

გენერალ ენვერტის გერმანელთა ჯარი ხასროლ მასალას ბზოგავს და ამ დაზოგვას იმით ხსნიან, რომ ახლო მომავალში დიდ ბრძოლას მოელიანო.

ამბობენ: ბულგარეთში გერმანელებმა აუარებელი ზარბაზნები მოიტანეს. რუმჩუკი პირველ ხარხხოვან ციხე-სიმაგრედ გადაუქეცებიათ.

იტალიური ოფიციოზი იტყობინებ: რუმინეთს გადაწყვეტილი აქვს ავსტრიას ომი გამოუცხადოს.

ლოიდს ატყობინებენ: დაიღუპა ინგლისელების ხუთი გემი: „ბრიტანიკ“, „მარგარიტა სუტონ“, „სმილინგ მორნ“, „ტვინდლერი“ და ერთი ჰოლანდიისა „ზეელანდია“.

—

„რუს. ვედ.“ იტყობინება: გერმანეთის მთავრობამ ადგილობრივ მცხოვრებთ ნება დართო საქონელი კარტოფილით ჭკვებონ.

—

„რ. ინვალიდი“ იტყობინება: გერმანელების „ურ-დღეობა ბრუსილოვის მიერ კოველის მხარეს დაწყებულ ოპერაციებზე არის მიპყრობილი, სადაც მეაცრი ბრძოლა და დიდი სისხლის ღვრაა. კოველს გერმანელები თავგამოდებით იცავენ. გერმანელებს ყოველ კუთხიდან თავისუფალი ჯარი აქ გადმოჰყავთ. რუსის ჯარი კოველის გზაზე და მდ. სტოხოდზე მედგრად იბრძვის და მოწინააღმდეგეს მოსვენებას არ აძლევენ.

—

ამბობენ, ამ მოკლე ხანში პოლონეთში მეტად საგულისხმო და დიდი რამ ამბავი უნდა მოხდესო.

ბულგარეთის მეფე ფერდინანდი ფენასა და ბერლინში წავიდა, რათა იქ დაუმტკიცოს, რომ ბულგარეთს ორ ასპარეზზე ბრძოლა შეუძლიან, თუ რუმინეთი ომს გამოუცხადებსო.

გაზეთი „პოლიტიკენ“-ი იუწყება: გერმანელებს უსაქმობა მეტად მოვბეზრდათ. გასამჯდესებ შეიძლება იმ შემთხვევაში, როცა ბრძოლის მეთაურობა და ინიციატივა მათს ხელში გადავა. მათ არ შეუძლიანთ ლოდინი, როგორც მოკავშირეებს. აღმოსავლეთის ბრძოლის ველი გერმანელებისთვის მთავარ ბრძოლის ველად გარდაიქცეო.

გერმანეთის მთავარ შტაბს მთელი კვირის განმავლობაში საგულისხმო თათბირი ჰქონია.

მუკდენიდან იტყობინებიან: ათასამდე აჯანყებული მონგოლი ქალაქ ჩანჩულს მიადგა, მაგრამ იაპონელებმა უკან დაახევინესო.

ქართულ ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ მიტროპოლიტს პიტერიმს პეტროგრადში მოლაპარაკება ჰქონია მინისტრთა თავმჯდომარე შტიურმერთან და იუსტიციის მინისტრთან კავოვთან.

„ფორვერტ“-ში ვეტკე სწერს: მოწინააღმდეგის თავგამოდებით იერიშები მთელ ბრძოლისველზე განახლდა. საერთო მდგომარეობით თავს არ უნდა ვიტყუებდეთ. მოწინააღმდეგენი დარწმუნებულნი არიან, რომ ომის ინიციატივა მათს ხელში გადავიდა და გერმანელებს საშუალება მოუსპო ჯარის გადასაყვანად-გადმოსაყვანად. დასასრულ ავტორი ამბობს, რომ ომის ბედი მარტო დასავლეთ ასპარეზზე არ გადასწყდებაო.

ახალი ამბავი

◆ **გ. ზდანოვიჩის ავადმყოფობა.** თანახმად „სახ. ფ.“ რედაქციის მიერ მიღებულ უკანასკნელ ცნობებისა ქობულეთიდან გ. ზდანოვიჩის მდგომარეობა მეტად სერიოზულია, მაგრამ არა უიმედო. არის ნიშნები უმჯობესობისა. უკვე ლაპარაკობს, თუმცა დიდის გაჭირვებით. 26 ივლისს, 5 საათზე კვლავ ავარდნია გულის ძგერა და ავადმყოფს უარესობა დასტყობია. ექიმებს შიში აქვთ დამბლა არ განუმეორდეს.

◆ **სომხური გაზეთი ქართულ ენაზე.** თბილისის გუბერნატორმა ნება დართო გამოიცეს თბილისში ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი ქართულ ენაზე ამ სათაურით: „სომეხთა ცხოვრება“.

◆ **სემინარია ქუთაისში.** გუშინ საქართველოს ექსარხოსის ბინაზე მოხდა თათბირი ქუთაისში სასულიერო სემინარიის დაარსების შესახებ. თათბირს დაესწრნენ მღვდელ-მთავრები საქართველოს საექსარხოსიო და წარმომადგენელნი სასინოდო კანტორისა.

◆ **პირის ალავერდელი** გაემგზავრა თვის ეპარქიაში.

◆ **საეკლესიო მუზეუმი** ქართულ სამღვდელოებისა გადატანილ იქმნა სათავად-აზნაურო გიმნაზიის შენობაში.

◆ **აჭარის სკოლები.** თბილისში ჩამოვიდა მეთვალყურე ქართულ საქვ. საზოგადოების აჭარაში არსებულ სკოლებისა იერ. დიმ. გულისაშვილი და მოხსენება წარუდგენია მთავარ გამგეობას იქაურ სკოლებზე. თანახმად მოხსენებისა ხუცუბნის სკოლასთან, კინტრიშის ხეობაში, საჭიროა მომავალ სამოსწავლო წლიდან დაარსდეს საოჯახო-სამეურნეო განყოფილება. გარდა ამისა ს ჭირნა კვლავ თანხის გაღება სოფლებ ყოროლისთავის, ალამბრის და ხუცუბნის სკოლების ახალ შენობების მოსათავებლად. ბ. გულისაშვილმავე განაცხადა, რომ ალამბრიის სკოლის მასწავლებელს ბ. ნიკოლაიშვილს და ქვემო-აგარის სკოლის მასწავლებელს გვეფრასა ჯარში გაწვევა ეწევთ და სთხოვა ვადა განუგრძონ.

◆ **სომეხთა კათალიკოსი** გეორგ მეხუთე დღეს ნაშუადამევს მიეგზავრება ეჩმიაძინში.

◆ **მამულის ჩაბარება.** წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გამგეობის წევრები ამ დღეებში გაემგზავრებიან ოკუზარაოს, საცა ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების უნდა ჩააბარონ საიჯარო ილიასეული მამული.

◆ **ჯარში გაწვეულთა შეღავათის** მომცემ ქალაქის კომიტეტის წინაშე ქართული საქველ-მოქმედო საზოგადოების გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა ვადის გაგრძელების შესახებ საზოგადოების მდივნ-ნზე პ. საყვარელიძეზე, გამ-ეობის წევრი გ. ციცაძეზე და ხაზინადარ დ. ცერცვაძეზე.

◆ **„კავკასკოე სლოვოს“** მემანქანეთა გაფიცვის გამო ეს გაზეთი ორი დღე არ გამოვიდა. გუშინ კვლავ განახლდა გამოცემა ამ გაზეთისა.

◆ **ალ. ნათაძე,** როგორც გუბერნატორის კანცელარიას ატყობინებენ გულის სიგანავრით გარდაცვლილა.

◆ **ხორცეულობის აღკრძალვა.** თანახმად უმაღლესად მოწოდებულ კანონისა მიღებულია ხომები მცხოვრებთა მიერ ხორცისა და ხორცეულობის ნაწარმოებთა ხმარების შემცირების შესახებ. თანახმად ამ კანონისა აკრძალულია მსხვილფეხა საქონლის და ხბოს, ცხვრის, ბატკნის, ღორის და გოჭის ხმარება სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით ყოველ კვირა ყველგან, როგორც კლუბებ-რესტორანებში ისე ბაზარში ამ ხორცეულობის სყიდვა-გაყიდვა. აგრეთვე კოსერვებისა, ძეხვისა, ქონისა და სხვა ნაწარმოებთა. დამნაშავეები პირველად შენიშნულნი დაისჯებიან 50—300 მანეთით ან 3 თვით დაპატიმრებით, ხოლო მეორედ შენიშნულნი ციხეში დაპატიმრებით 1 წლიდან 6 თვემდე.

◆ **ხულით ავადმყოფი.** ანჩისხატის ეზოში თავი შეუფარებია სულით ავადმყოფ კაცს, რომელიც მთელი დღე დედილ-შობილი დაძრწის ამ ტაძრის კარმიდამოში და მოსვენებას არავის აძლევს. ბავშვები საბრალოს დასცინიან და ერთ აურზაურს აყენებენ. რამდენჯერმე ტანთ შემოსეს მაგრამ ზედ შემოიხია. ტაძრის წინამძღვარმა რამდენჯერმე აღძრა შუამდგომლობა თავშესაფარში მოსათავსებლად მაგრამ ჯერაც არა შველებიარა.

◆ **წირვა და პანაშვიდი.** კვირას, 31 მკათათვეს, ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების წლის თავის აღსანიშნავად წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობის თაოსნობით დიდუბის ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი.

◆ **წერა-კითხვის საზოგადოების** მთავარ გამგეობას ჯერ არ მიუღია წარსულ წლის ანგარიში: ქუთაისისა, ვანისა, გუდაუთის, ახალ ხონისა, სოჩისა და დუშეთის განყოფილებისაგან. მთავარი გამგეობა უკვე შეუდგა 1915 წლის ანგარიშის დაბეჭდვას, ისე რომ აღნიშნულ განყოფილებათა ანგარიშები გამოტოვებული იქნება.

◆ **ახალი წიგნი.** „საქართველო“-ს რედაქციამ მიიღო ბ-ნ ვ. დ. წიგნაკი: „Итоги краеваго земскаго совѣщанія на Кавказѣ. რომელშიაც დასაბუთებულია საერობო თათბირის უმრავლესობის მოქმედება. წიგნი შეიცავს 47 გვერდს და ღირს 50 კაპ.

◆ **ტატიანას კომიტეტის შემოწირული ფული.** 26 მკათათვეს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ ითათბირა ტატიანას კომიტეტის მიერ შემოწირულ ფულების მოხმარების შესახებ და დაადგინა დაარსოს განსაკუთრებული ფონდი ტატიანას სახელობაზე. შემოწირული ფულის ერთი ნაწილი ჯერ-ჯერობით მოხმარდება ომისაგან დაზარალებულთა მცირე წლოვან შვილთა-თვის თავშესაფარის დაარსებას ბათომსა, სოხუმსა და ბაქოში. თავშესაფარებში წერა-კითხვასაც ასწავლიან. ამასთანავე გამგეობამ დაადგინა გაგზავნოს ბათომსა და სოხუმში სასკოლო სექციის თავმჯდომარე ბ-ნი ლუარსაბ ბოცვაძე, რომელიც საზოგადოების ადგილობრივ განყოფილებებთან ერთად გამოარკვევს, როგორ და როდის მოეწყოს თავშესაფარები და რამდენი ფული იქნება ამისათვის საჭირო. ამავე მიზნით გამგეობა ჭაზავნის ბაქოში საზოგადოების სკოლების მეთვალყურეს ბ-ნ გრ. ბურჭულაძეს.

◆ **სამეურნეო ბანკი, წვრილი საკრედიტო დაწესებულებანი.** ქართულმა სამეურნეო ბანკმა 20.000 მანეთის კრედიტი გაუხსნა ვაჭირის სასოფლო ბანკს. სამეურნეო ბანკს სულ 300,000 მანეთი ჰქონია გადადებული წვრილ საკრედიტო ამხანაგობათათვის კრედიტის გასახსნელად.

◆ **კათალიკოზის წახვლა.** 27 მკათათვეს, ქალაქის მოურავის მოადგილე თავ. ა. მ. არლუთინსკი წარუდგა სომეხთა კათალიკოზს გეორგ მეხუთეს, რომელიც ამ ჟამად მანთაშევის აგარაკზე იმყოფება კრწანისში. კათალიკოსი ხვალ 29 მკათათვეს, მიემგზავრება ეჩმიაძინში.

◆ **ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების** მთავარი გამგეობა სთხოვს ტატიანას კომიტეტს იშუამდგომლოს, ვისთანაც ჯერ არს, რომ საზოგადოების მოსამსახურეთ შეღავათი მიეცეთ და ეხლა არ გაიწვიონ ჯარში, ვინაიდან წინაალმდეგ შემთხვევაში საზოგადოება დიდს გასაჭირში ჩავარდება.

◆ **შუამდგომლობა.** თბილისის საკრედიტო დაწესებულებანი, მათ შორის ქართული სამეურნეო ბანკიც, შუამდგომლობას გზავნიან ფინანსთა მინისტრთან, იმის შესახებ, რომ მათ მოსამსახურეთ შეღავათი მისცენ და ეხლა არ გაიწვიონ ჯარში.

◆ **ქალაქის კასაში** მიმდინარე წლის პირველ ნახევარში შემოსულა სულ 122,223 მანეთი.

◆ **ჯარიმა.** თბილისის გუბერნატორმა შაგარ სხსმელების ნებადაფრთვეულად გაყიდვისთვის დააჯარიმა ვაჭრები: მ. მარიამული 2 ათას მანეთით ან 2 თვის ციხით, მ. ოგანეანი 2 ათას მანეთით ან 3 თვე ციხით, ი. დიმიტრაშვილი 1000 მანეთით ან 2 თვე ციხით, მ. ორდანოვი 500 მან. ან 1 თვე ციხით, ი. ოდიშვილი 300 მ. ან 1 თვე ციხით.

ფასების აწევისათვის სანოვაგეზე: გ. ოქრუაშვილი 500 მ. ან 3 თვე ციხით, გ. კარიჭაშვილი, ნ. ცქრიალაშვილი, ლ. გოცირიძე, მ. მაისურაძე, ა. საგინელიძე, გ. დოგონაძე, ფ. გოცირიძე, ზ. გაგნიძე, ი. კერვალიშვილი, ა. კობერიძე, გ. ომიაშვილი ს. გოცირიძე, ნ. ანაგიანცი, ი. ცქირაშვილი, ს. კოკოვიდოვი, მ. კორკოვიდოვი და ვ. ხაჯაზიანცი — თითო 300 მანეთით ან 6 თვე ციხით; ს. ნიბარაოვი, გ. მამასახლისოვი, გ. სასანიძე, ს. გელდიაშვილი, ს. ნარიაშვილი, ი. დავიდოვი, ვ. გელდიაშვილი, დ. ს. ბარბიტოვი — თითო 100 მანეთით ან 30 დღე ციხით; ბინებზე ფასის აწევისათვის: ვ. ფიროუმოვი — 1000 მან. ან 1 თვე ციხით და ს. კერონჯიანცი 200 მან. ან 1 თვე ციხით.

◆ **გზამენები კადეტთა კორპუსში** გამოცდა იმ თავად-აზნაურთა შვილებისა, რომელნიც კანდიდატებად ჩაბარებულნი მეფის ნაცვლის განკარგულებით კადეტთა კორპუსებში, დანიშნულია კიევის კორპუსში 12 მარიამობისთვეს, პეტროგრადის — 9 მარიამობისთვეს, ოლონეცისა — 11 მარიამობისთვეს, თბილისისა — 12 მარიამობისთვეს, სუმისა — 26 მარიამობისთვეს, ვორონეჟისა — 9 მარიამობისთვეს, თბილისისა 27 და 28 მარიამობისთვეს, ხოლო კავკავის კორპუსში 10 მარიამობისთვეს.

კავკავის კორპუსში მიღებულთ უსაფუფოდ კავკავში უნდა ჩააბარონ გამოცდა, ხოლო დანარჩენ კორპუსებში მიღებულია სადაც სურთ.

◆ **სასანიტარო ინსპექციის** განკარგულებით გადაიდო 8400 მანეთი, ერთ-დროულ დახმარების აღმოსაჩენად.

დ. ხონი.

ამ დღეებში მომხდარ დარბევის გამო დატუსაღებულნი, ქუთაისიდან ჩამოსულმა გამომძიებელმა, შვიდის გარდა ყველნი გაანთავისუფლა. ამბობენ, ამ შვიდსაც გაანთავისუფლებენო. მაღაზიები ზოგი გაიღო და ზოგი ისევ დახურულია. აქ შესდგა კომისია, რომელმაც უნდა შეამუშაოს ნიხრი ყველა საქონელზედ. სოფლებიდან ჯერ-ჯერობით აღარაფერი არ შემოდის, ამრიგად პირველ მოთხოვნილების სანოვაგე აღარ იშოვება. ამ დღეებში აქ იყო დეპუტატი ყარლო ჩხეიძე, რომელიც ერთ დღეს დარჩა. ამბობენ ისევ ჩამოვა და ყრილობაზედ დაესწრებაო.

ეროვნული ვითარება

სომხები ქართველ გრიგორიანების შესახებ. გაზეთი „ბაკო“ სწერს: ქართველ შოვინისტებს მიუღწევიათ იმ აზრამდის, ვითომც ისტორიულ საქართველოში მცხოვრები ქართულად მოლაპარაკე სომხები ქართველები იყვნენ, მხოლოდ გრიგორიანთა რჯულის“.

„მშაკი“ სწერს: „ქართველ შოვინისტთა მტკიცება ეწინააღმდეგება ისტორიულ ფაქტებს; ქართველი მემატიანენი რომ ცოცხალნი იყვნენ, ისინიც დასცინებდნენ მათ; განა მათ არ აქვთ მოთხრობილი, თუ რამდენი სომები მოსულა საქართველოში ქართველ მეფეთა მოპატიჟებით და როდის ან სად დასახლებულან...

„მშაკი“ დაასკვნის: „ამ ჟამად ჩვენი უსაჭიროესი საქმეა ყოველნაირი ზომები მივიღოთ, რომ შევუნარჩუნოთ ეროვნება იმ სომხებს, რომელნიც სამშობლო ენაზე არ ლაპარაკობენ; აქამდის ფიქრობდენ სომხური სკოლების გახსნას, მაგრამ არა ნაკლებ ნამდვილი საშუალებაა სომხური ეკლესია; უნდა მიექცეს ყურადღება იმას, რომ ტერტერები ეროვნულად განათლებული იყვნენ.

პოლონეთში. ამას წინად ვარშავაში აირჩიეს ახალი ქალაქის ხმოსნები; არჩევნების საერთო კურიაში შეებრძოლებიან ერთმანეთს, ერთის მხრით პოლონური სოციალისტური პარტიები და ებრაული ს.-დ. პარტია „ბუნდი“, მეორეს მხრით არა სოციალისტური პარტიები, როგორიცაა „ქრისტიანული დემოკრატია“, „ეროვნული მუშათა კავშირი“ და ნაციონალ-დემოკრატები; არჩევნებში გაიმარჯვა არა სოციალისტურმა ეროვნულმა ბლოკმა. მან მიიღო 14.000 ხმა და გაიყვანა ქალაქის საბჭოში 7 ხმოსანი (სულ საბჭოში — 15-ია); პოლონეთის სოციალისტურმა პარტიამ შეჰკრიბა მხოლოდ 6.000 ხმა და გაიყვანა 2 ხმოსანი; სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს 2.631 ხმა (1 ხმოსანი) და „ბუნდმა“ — 3.711 ხმა (1 ხმოსანი).

ქართულ ჟურნალ-გაზეთოგის ასი წლის შესრულების გამო

(დასასრული)

საჭიროდ მიგვაჩნია სოლომონ დოდაშვილის პიროვნებაზედ ცოტა შეეჩერდეთ. სოლ. დოდაშვილი მაღაროელი მღვდლის შვილი პირველი ქართველია, რომელიც საქართველოს რუსეთის იმპერიასთან დაკავშირების შემდეგ, რუსეთის უნივერსიტეტში პირველად წავიდა სასწავლებლად. ამის ცხოვრების შესახებ აქ არას დაგწერთ, ვინაიდან მისი ბიოგრაფია ჩვენ ცალკე გვაქვს დაბეჭდილი. ამიტომ აქ მარტოთ მის საგაზეთო შრომას შეეხებით. სოლომონ დოდაშვილი იყო უდიდესი მამულიშვილი, გაღვიძებული ქართველი. მან სწავლა დაამთავრა 1828 წ. პეტროგრადის უნივერსიტეტში, იგი სცხოვრობდა „კალმახობის“ დამწერ ივანე ხელაშვილთან.

სოლომონ დოდაშვილს ივ. ხელაშვილთან გაეფურჩქნა გული მამულის შვილობით, ამიტომ მან დევიზათ გაი-

---

ლოსილება, რომელიც აქამომდეც მძლავრი იყო. ამ ომებმა გვიჩვენეს თამარისა და დავითის ის მხარეები, რომელთა ჯგუფიც, საქართველოს ერთგულთა პროგნებას აქანდაკებს... თამარი მფარველად მოევლინა სპარსეთის ერთ ძმა-მეფეთაგანს — ამირ მირმანს, რომელსაც თავისი უმფროსი ძმა აშუბერი უკადრისად ექცეოდა. აღმოუჩინა მფარველობა და შამქორის მინდორზე ძმათა სისხლის მსმელი არსება საისტორიოდ დაამარცხა, რითაც თავის ხმალს მეტი სიფოლადე და სიბასრე შესძინა, ბასიანის ომი კი თამარის მიერ ყარსის დაპყრობამ გამოიწვია. ამის გამო მცირე აზიის სულთანს ნუქარდინს ბრაზი მოერია და საქართველოს წაგრაგნა განიზრახა. განიზრახა, მაგრამ განზრახვა იგი დაუჯდა ძვირად, რადგან მას არასოდეს უნახავს ისეთი გაჭირება, როგორშიაც ბასიანს-ბელოსტოკის ველზე ქართველმა ჯარმა ჩაგდო.

ეს ორივე დამარცხება საქართველოსათვის ბევრის მოტანი იყო, რადგან ისედაც ძლიერ სახელმწიფოს აუარებელის ნადავლითა და საგმირო სახელის მოხვეჭით სიდიდე უფრო მოემატა და სხვა ერებს თავს წინაშე ქედი მოაბრუნვინა.

ამ დროის მოქმედებას ეკუთვნის ტრაპეზონის იმპერიის დაარსებაც. სწორედ ამ დროს იყო, რომ თამარისაგან მოჭიქული ეკლესია-ტაძრები ბიზანტიის იმპერატორმა ალექსი მეოთხემ გაძარცვა... თამარის გულმა ასეთ ველურობას ველარ გაუძლო; თამარი გაბრაზდა; საჭირო შემთხვევის დროს, რ.ა.ც ეკ[illegible] ჯ[illegible]ნ[illegible]ს თვით მისივე მომქმედი პირნი

მა ბიზანტიის იმპერია დაიპყრეს, თამარმა „მკლავით ძლიერ“ ქართველების წყალობითა და თავისი ჭკვიანობ ს შემწეობით შავ ზღვასთან მდებარე მრავალი ქვეყნები ჩამორთვა და იქვე ტრაპეზონის იმპერია შეაქმნა.

მის მეფობაში შესანიშნავი და საოთაყვანებელი კიდევ რამდენი რამ არის!.. სიტყვა ჩემი მხოლოდ ანარეკლია იმ საოთუოდ სახსენებელისა, რომლის სახელი მთელი საქართველოს დამამშვენებელია. თამარი ჩვენთვის სულის დაუჭკვრეველი სარკეა, რომლის სივრცე მრავალ გზით საინტერესო სახეებსა და ვითარებებს გვაცნობს-გვაჩვენებს, მაგრამ

„ვინ დასთვალოს ზღვაში ქვა,
და ან ცაზე ვარსკვლავები?!
ვინ შეამკოს ღირსეულად
ქართველ გმირთა მხრ-მკლავები?!“

და თუ ამას ამბობს დიდებული აკაკი, მე სავსებით როგორ გაგიბუქოთ ის ცხოველი სურათი ქართველ მედგარ გმირთა იმ უკვდავ სახეთა, რომელთაც თავს თაძარ მეფე ადგია?!. ეს სურათი ხომ გმირთა გარდა გვიხატავს იმათაც, რომელნიც ჩვენთვის შოთა რუსთაველის, მოსე ხონელის, ივანე შავთელისა და ჩახრუხაძის სახელით არიან ცნობილნი. მათ შორის კი შოთა რუსთაველი ხომ მთელ საქართველოს საამაყოდ შეექმნილა! შოთასა და მის „ვეფხის ტყაოსანს“ ხომ საქართველო საქვეყნო მოედანზე გაჰყავთ და სხვათა შორის მასაც საპატიო ადგილს აკუთნებენ.

„ვეფხის ტყაოსანი“ ხომ უბადლო ქანდაკებაა, რომლის სხეულის ასოდროს, რ.ა.ც ეკ[illegible] ჯ[illegible]ნ[illegible]ს

შეადგენენ, ყოველი ეს გარემოება თვით ხალხმა დააფასა; ეკლესიამ თამარი წმიდათა შორის ჩარიცხა, ხოლო ერმა კი მისსა და შოთას ცხოვრების დროს „ოქროს ხანა“ უწოდა... თამარი გარდაიცვალა 1213 წელს იანვრის 18 და ამის შემდეგ საქართველოც დანაწილების მდგომარეობას გაწიცდის...

თამარს დარჩა ორი შვილი ლაშა გიორგი დარუსუდანი, მაგრამ საქმენი მათნი უმნიშვნელონი არიან ისე, ვით მრავალთა მათ მიმდევართა...

ან ვის შეეძლო ღვთით მშვენიერ თამარს შესდარებოდა?! ვინ იყო იგი, ვინ, მისებრ პატივისცემისა და ქებამარტი სიყვარულის ღირსად იხსენიებოდეს?!. ვინ ნახეთ ისეთი, რომელიც თავის სულსა და გულს ერის უკდავ-ყოფას საკ[illegible]ებით სწირავდა და, ამის გამო, ხშირად საზარელი განცდის მონად ის.ხ.ბ.ოდა?!. ამ კითხვის პასუხს ვინ არ იკისრებს?!. თვით საქართველოს „მრავალ დროების მოწამე“ მდინარე; თვით იგი მთა, რომელიც ბრძოლის კიკინს თავის ძლიერ გამოძახილს უერთდებოდა; ან ის მწვანე მდელო, რომელიც სისხლთა მდინარეთ ირეწებოდა და გაბოხერებისაკენ მიიწევდა; ან თვით მოქმედი ცა და მრავალნი სხვანი თავისის გამომეტყველებით არა ჰლაღადებენ, რომ თამარისთანა ამ ქვეყნად არავინ ყოფილ!?.

„არავინ“... დავსძახებთ ჩვენც, მაგრამ ამ მცირე სიტყვათა ქსელში სრულიადაც არ ვატყვევებთ იმ მცნებას, რომელსაც სრული იმედიანობა ეწოდება. გვწამს, რომ მარადის უძლეველი, ხოლო შემთხვევით დატყვევებუ-

---

ლი სული ზეიმტაც ქროლას მალე დაიწყებს; გვწამს, რომ სიდიადე ჩვენი მანათობელი მზისა, დაქვრივებულ საქართველოს ოლთქლის ეპას დაუდნობს და მთლიანობის, ყოველმხრივი ძლიერების,

სარგო სამოსელში

გამოახვევს.

ამას გმირ ქართველთა მოქმედება გვიმტკიცებდა. ამას ახალი საქართველოს ახალი ძალა სიმართლის ბეჭედს ასვამს, და ვერც წარიხოცება მისი ნაშრომი, რადგან ახალი საქართველო არის დიდებული წარსულის დიდებული ნაშთი; ბაგე მისი ჩვენ პირობა გაუმჯობესებას თხოულობს და, სწორედ ამიტომ, უფრო მტკიცდება აკაკის ბრძნული სიტყვები:

ნაშთი ძველის დიდებისა
არ გამქრალა ჯერაც ყველა;
დღესაც მისის მარავანდით
ნიშანს გვაძლევს ცისარტყელა.
ფრიდ სამთავრის მრგვაგონებს
მოელვარე ის ფრიდფერი
და გვიმღერის: „არ მომკვდარა,
გაიღვიძებს ისევ ერი!“...

მიხ. ხერხეულიძე.

◆ **ახალი ამბავი.** „საქართველო“-ს რედაქციამ მიიღო ბ-ნ ვ. დ. წიგნაკი: „Итоги краеваго земскаго совѣщанія на Кавказѣ. რომელშიაც დასაბუთებულია საერობო თათბირის უმრავლესობის მოქმედება. წიგნი შეიცავს 47 გვერდს და ღირს 50 კაპ.

◆ **ტატიანას კომიტეტის შემოწირული ფული.** 26 მკათათვეს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ ითათბირა ტატიანას კომიტეტის მიერ შემოწირულ ფულების მოხმარების შესახებ და დაადგინა დაარსოს განსაკუთრებული ფონდი ტატიანას სახელობაზე. შემოწირული ფულის ერთი ნაწილი ჯერ-ჯერობით მოხმარდება ომისაგან დაზარალებულთა მცირე წლოვან შვილთა-თვის თავშესაფარის დაარსებას ბათომსა, სოხუმსა და ბაქოში. თავშესაფარებში წერა-კითხვასაც ასწავლიან. ამასთანავე გამგეობამ დაადგინა გაგზავნოს ბათომსა და სოხუმში სასკოლო სექციის თავმჯდომარე ბ-ნი ლუარსაბ ბოცვაძე, რომელიც საზოგადოების ადგილობრივ განყოფილებებთან ერთად გამოარკვევს, როგორ და როდის მოეწყოს თავშესაფარები და რამდენი ფული იქნება ამისათვის საჭირო. ამავე მიზნით გამგეობა ჭაზავნის ბაქოში საზოგადოების სკოლების მეთვალყურეს ბ-ნ გრ. ბურჭულაძეს.

◆ **სამეურნეო ბანკი, წვრილი საკრედიტო დაწესებულებანი.** ქართულმა სამეურნეო ბანკმა 20.000 მანეთის კრედიტი გაუხსნა ვაჭირის სასოფლო ბანკს. სამეურნეო ბანკს სულ 300,000 მანეთი ჰქონია გადადებული წვრილ საკრედიტო ამხანაგობათათვის კრედიტის გასახსნელად.

◆ **კათალიკოზის წახვლა.** 27 მკათათვეს, ქალაქის მოურავის მოადგილე თავ. ა. მ. არლუთინსკი წარუდგა სომეხთა კათალიკოზს გეორგ მეხუთეს, რომელიც ამ ჟამად მანთაშევის აგარაკზე იმყოფება კრწანისში. კათალიკოსი ხვალ 29 მკათათვეს, მიემგზავრება ეჩმიაძინში.

◆ **ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების** მთავარი გამგეობა სთხოვს ტატიანას კომიტეტს იშუამდგომლოს, ვისთანაც ჯერ არს, რომ საზოგადოების მოსამსახურეთ შეღავათი მიეცეთ და ეხლა არ გაიწვიონ ჯარში, ვინაიდან წინაალმდეგ შემთხვევაში საზოგადოება დიდს გასაჭირში ჩავარდება.

◆ **შუამდგომლობა.** თბილისის საკრედიტო დაწესებულებანი, მათ შორის ქართული სამეურნეო ბანკიც, შუამდგომლობას გზავნიან ფინანსთა მინისტრთან, იმის შესახებ, რომ მათ მოსამსახურეთ შეღავათი მისცენ და ეხლა არ გაიწვიონ ჯარში.

◆ **ქალაქის კასაში** მიმდინარე წლის პირველ ნახევარში შემოსულა სულ 122,223 მანეთი.

◆ **ჯარიმა.** თბილისის გუბერნატორმა შაგარ სხსმელების ნებადაფრთვეულად გაყიდვისთვის დააჯარიმა ვაჭრები: მ. მარიამული 2 ათას მანეთით ან 2 თვის ციხით, მ. ოგანეანი 2 ათას მანეთით ან 3 თვე ციხით, ი. დიმიტრაშვილი 1000 მანეთით ან 2 თვე ციხით, მ. ორდანოვი 500 მან. ან 1 თვე ციხით, ი. ოდიშვილი 300 მ. ან 1 თვე ციხით.

ფასების აწევისათვის სანოვაგეზე: გ. ოქრუაშვილი 500 მ. ან 3 თვე ციხით, გ. კარიჭაშვილი, ნ. ცქრიალაშვილი, ლ. გოცირიძე, მ. მაისურაძე, ა. საგინელიძე, გ. დოგონაძე, ფ. გოცირიძე, ზ. გაგნიძე, ი. კერვალიშვილი, ა. კობერიძე, გ. ომიაშვილი ს. გოცირიძე, ნ. ანაგიანცი, ი. ცქირაშვილი, ს. კოკოვიდოვი, მ. კორკოვიდოვი და ვ. ხაჯაზიანცი — თითო 300 მანეთით ან 6 თვე ციხით; ს. ნიბარაოვი, გ. მამასახლისოვი, გ. სასანიძე, ს. გელდიაშვილი, ს. ნარიაშვილი, ი. დავიდოვი, ვ. გელდიაშვილი, დ. ს. ბარბიტოვი — თითო 100 მანეთით ან 30 დღე ციხით; ბინებზე ფასის აწევისათვის: ვ. ფიროუმოვი — 1000 მან. ან 1 თვე ციხით და ს. კერონჯიანცი 200 მან. ან 1 თვე ციხით.

◆ **გზამენები კადეტთა კორპუსში** გამოცდა იმ თავად-აზნაურთა შვილებისა, რომელნიც კანდიდატებად ჩაბარებულნი მეფის ნაცვლის განკარგულებით კადეტთა კორპუსებში, დანიშნულია კიევის კორპუსში 12 მარიამობისთვეს, პეტროგრადის — 9 მარიამობისთვეს, ოლონეცისა — 11 მარიამობისთვეს, თბილისისა — 12 მარიამობისთვეს, სუმისა — 26 მარიამობისთვეს, ვორონეჟისა — 9 მარიამობისთვეს, თბილისისა 27 და 28 მარიამობისთვეს, ხოლო კავკავის კორპუსში 10 მარიამობისთვეს.

კავკავის კორპუსში მიღებულთ უსაფუფოდ კავკავში უნდა ჩააბარონ გამოცდა, ხოლო დანარჩენ კორპუსებში მიღებულია სადაც სურთ.

◆ **სასანიტარო ინსპექციის** განკარგულებით გადაიდო 8400 მანეთი, ერთ-დროულ დახმარების აღმოსაჩენად.

დ. ხონი.

ამ დღეებში მომხდარ დარბევის გამო დატუსაღებულნი, ქუთაისიდან ჩამოსულმა გამომძიებელმ

ხადა საქართველოში მალე ჩამოსვლა, სტამბის გახსნა, ქართული ჟურნალ-გაზეთების და წიგნების ბეჭდვა, სკოლების დახსნა, ქართველი ერის გაღვიძება. ამისივე ამხანაგი იყო კიკნაძე ბერი. ამავ 1828 წ. სოლ. დოდაშვილს ივ. ხელაშვილმა 6000 მ. ფული მისცა და საქართველოში გამოისტუმრა. ს. დოდაშვილი დროით ჩამოვიდა თბილისში, აქ იგი მთავრობის ნაწილში სათანადო პატივისცემით მიიღეს.

მან მალე აიღო ნებართვა და 1829 წ. უკვე თბილისში ქართული სტამბა გახსნა, ამ სტამბაში მან ამავ წელიწადს დაბეჭდა თავისგან შედგენილი „ქართული გრამატიკა". ამავე წლის ბოლო რიცხვებამდის ქართული გაზეთის გამოცემის ნებართვაც მიიღო და 1829 წ. დაიწყო ქართული გაზეთის „თბილისის უწყების" გამოცემა. გაზეთი წინანდელ ქართულ გაზეთებივით ერთ საწერ თაბახზედ იბეჭდებოდა, ხან ორი თაბახიც გამოდიოდა. ამ გაზეთის გამოცემას ნამდვილი ქართული მიმართულება ჰქონდა, სხვათა შორის აქ იბეჭდებოდა ლექსები ალექსანდრე ჭავჭავაძისა, ღ. ლ. გ. ერისთავისა, ამ გაზეთში პირველად დაიბეჭდენ სამამულიშვილო, ანუ პატრიოტული ლექსები. ეს პირველი მაგალითი გახლდათ.

ერთი კოლექცია დოდაშვილის გაზეთის ამ სალიტერატურო დამატებისა ჩვენს წერა-კითხვ. საზოგადების ბიბლიოთეკაშიაც მოიპოვება. საჭიროდ ვსთვლი, რომ ამ დამატების სათაურიც მოვიყვანო აქ და მის შინაარსის ცნობაც, რაც ცხადად გამოაჩენს ს. დოდაშვილის დიდს მამულისშვილობას და შეგნებულ გულ-გამთბარ მიმართულებას და იდეიას. აი ესეც სათაური:

ტფილისის უწყება

სალიტერატურო ნაწილი

№ 3. ქ. ტფილისი, 1832 წელსა.

ეს მესამე ნომერი 72 გვერდია. აქ მოთავსებულია შემდეგი ნაწერები: 1) „მოწოდება ივერთა მამულის დაცვისათვის დროსა სპარსთა შემოსვლისასა საქართველოს საზღვართა შინა ღ. ლ. თ. გიორგი ერისთავისა; 2) ირაკლის მეორის მეფობიდამ—ისა (ეს ს. დოდაშვილს ეკუთვნის); 3) პოემა „ოსური მოთხრობა" უცნობისა; 4) კრიტიკა შენიშვნად და მარხვის წესი ზედა უკანასკნელ მეფეთა ზედა საქართველოისათა, რომელიც დაბეჭდილი იყო პირველსა ნომერსა შინა რუსულთა გაზეთისა 1831 ამასა წელსა, ს. დოდაშვილისა.

ამ წერილიდამ სჩანს საყვედური ს. დოდაშვილისა რუსული გაზეთის მიმართ, რომ თქვენ ჩვეულება გაქვსთ ქართველი ერის ძაგება და საქართველოს ისტორიული პირების გმობაო. ასეთი პასუხი ს. დოდაშვილს ხშირად უწერია თვის კვირის გაზეთშიაც. ს. დოდაშვილი იმ დროის რუსულ გამოცემებს დარაჯად სდგომია და თუ სადმე რამე დაბეჭდილა ქართველების სავნოთ, მისთვის პასუხი სოლ. დოდაშვილს უძლევია, ქართულს ენაზედ მხოლოდ, თუმცა მან რუსულიც კარგად იცოდა, მაგრამ რუსულად წერას არ ეწეოდა.

ს. დოდაშვილის დროს შექმნილი შიში მთავრობის წრეში (ოტათი განელდა 1846 წ. შემდეგ, რაც საქართველოს მთავარ მართებლათ ვარანცოვი მოვიდა. ვარანცოვი სიტყვით დაარწმუნა პოეტმა ალ. ჭავჭავაძემ, გრიგოლ ორბელიანმა, ვ. ორბელიანმა და დიმ. ყიფიანმა, შიში ნურავისი არისო, ჩვენში ისეთი აღარაფერიაო. ამიტომაც იყო, რომ 1851 წ. გ. ერისთავს, „ცისკრის" გამოცემის ნებართვა მისცეს. საქართველოში რომ ნებართვის აღების და გამოცემის იმედი არ ჰქონდათ, ამიტომ პეტროგრადში მყოფი ქართველებიც აპირებდენ ქართულ ჟურნალის გამოცემას, სახელად ამას უნდა სწოდებოდა „არეო". ამის შესახებ, ივ. კერესელიძეს ლექსათ აქვს დაწერილი და „ცისკარში" დაბეჭდილი, რომ „არეს" ეწოდა „ცისკარიო".

ასეთია გარემოება ამ გაზეთის ისტორიისა. ს. დოდაშვილის მეორე გამოცემა, სალიტერატურო ნაწილის, სულ ოთხი წიგნი გამოსცა, ისიც 1837 წ. იმ წელს, როცა იგი დაპატიმრებულ იქმნა, სტამბაც დაიკეტა და ყოველივე მოისპო. დამატება არის პატარა ზომის, სულ 64 გვერდი, თაბახის მეოთხედის ზომისა.

ამავე დროს ქართულ ენას ეკარგებოდა ძველი პატივი და დიდება. იგი დაბალ ღირსების ენად, გლეხების ენად მოინათლა. ამას აშკარად ამბობდა ხოლმე პოეტი გრიგოლ ორბელიანი. ჩვენ დრო', ქართული ენა გლეხების ენათ იქნება მიღებულიო. ჩვენში ყველა გარუსებას ნატრობდაო. ქართველობა აღარავის სურდაო. ეს გარემოება ვ. ორბელიანმაც დაასაბუთა ერთხელ სიტყვით, ამასვე ამბობს ილია ჭავჭავაძე თავის საპოლემიკო ლექსში, რომელიც მიმართულია ქართველთ ძველი თაობის წინააღმდეგ, აი ილიას სიტყვები:

„თქვენ არ ხართ ისა, რომ ღვიძლი ენა,
ბრძანებით დასთმეთ აღმოსაკვეთათ,
შიშით არც კარში და აღარც ხალხში,
მას აღარ ხმარობთ თქვენდა სარცხვენათ"!..

ასე მოიძულებდენ ქართველნი ქართველობას, ასე აიღეს მათ უკვდავებაზედ ხელი, მთავრობის განზრახვაც შესრულდა, 1830 წ. უკვე საქართველოში, ქართველთ შორის რუსული ენის მცოდნეთა რიცხვი იმდენი გახდა, რომ აქ ამ ენამ აშკარათ გამრავლებაც იწყო, ამიტომ აქ ამ ენის უცოდინარობის და გაუგებრობის შიში აღარავის ჰქონდათ, საქმე მოეწყო და 1830 წ. მთავრობამ რუსულ ენაზედ გადასწყვიტა რუსული გაზეთის გამოცემა და ეს მოაწყეს და გამოსცეს კიდეც.

ამ რუსული გაზეთის არსებობამ დიდხანს არ გასტანა, იგი სულ ორ სამ წელიწადს არსებობდა, რუსული გაზეთი იყო ოფიციალური და მასთანვე ქართული ისტორიული ღირსებას იკვლევდა, სადაც ხშირად ბეჭდავდენ საქართველოს ღირსების უარ საყოფელს წერილებს. ამ გარემოებას მოიხსენებს სოლომონ დოდაშვილიც 1837 წ. თვის მიერ გამოცემულ ეურ. „თბილისის უწყებაში". მივიდეთ ისევ „წმიდა გიორგის" გამოცემაზედ.

როგორც აღვნიშნეთ, არც „ქართული გაზეთის", არც „საქართველოს გაზეთის" და ამ „წმიდა გიორგის" გამოცემის შესახებ სრული ცნობები არა გვაქვს, არ ვიცით, თუ ვინ იყო ამ გაზეთების რედაქტორი. ისიც ვიცით, რომ ეს გაზეთი 1821 წლიდამ დარჩა, იგი მოისპო 1824 წ. ბოლოს. ასე რომ 1825 წ. თბილისში ქართული გაზეთის აღარაფერი გამოვიდა. მთავრობა დარწმუნდა ქართული ოფიციალური გაზეთის ქონვის უხერხულობას! მათ განიზრახეს რუსულს ენაზედ გაზეთის გამოცემა და იგი როგორც იქმნა მოახერხეს 1830 წელს.

მე-19 საუკუნეში, ასეთია პირველი ხანა ქართულ ჟურნალ-გაზეთების გამოცემისა და ამიტომ ჩვენც აქ მარტოთ ეს პირველი ხანა ავნუსხეთ, მარტოთ ამას შევეხეთ და 1837 წ. გამოცემით დავამთავრეთ, ვინაიდგან 1837 წ. დაახლოვებული კავშირი აქვს 1817 წ. გამოცემასთან, უფრო მეტი, ვიდრე შემდგე დროის, ანუ მეორე ხანაში განახლებულ ქართველ მწერლობასთან.

ამიტომაც საჭიროა, რომ ეს შავი არშიით შემოვლებული დრონი და გაზეთების გამოცემის დაწყების 100 წელიწადი 1817 წ. რამე შესაფერის საქმით იქმნეს მოგონებული და აღნიშნული.

ზ. ჭ.

—

საჭიროა, რომ ამ მოგონებამაც, ქართული სტამბის 200 წლის არსებობის მოგონების მსგავსად ჩაილუღის წყალი არ დალიოს და დავიწყებული არ იქმნეს. ვიტყვი აქ იმასაც, რომ 100 წლის ქართული გაზეთის გამოცემის დღესასწაულის გადახდა ეხლა დიდს მნიშვნელობას იქონიებს ქართველ ერზედ და შეიძლება ამით ამ გაზეთების ახლად ნაპოვნი ნომრებიც აღმოჩნდეს.

ზ. ჭ.

ძველი ხელთნაწერიდან

ეს შელოცვა ამოღებულია ერთის ძველი ხელთნაწერიდგან, რომელიც მღვდელმა მამა ნიკოლოზ ოქრომჭედლიშვილმა შესწირა წ. კ. საზოგადოების მუზეუმს. მოგვყავს ეს ლოცვა სიტყვა-სიტყვით თავიდან მეორე ფურცლის მეორე გვერდზე.

№ 2893. კურთხევანი, თავ-ბოლო აკლია.

ლოცვა გველცემულისა

(გველის ნაკბენისა)

სარო სანთე ფორონ ფორო ფოროტო სინნა რამე წართე აბანაჩინ ქადა იჩა ქომოი გაღანა ლალე ვავანა აღნანსი ღორთა მამა უჯუდა ირათ **დაპოპოაღარო** გათა ისკანანე დასანათე აგოთ სოღე ფუთე ანთან შომნან გენთე. ესენი არიან სახელნი გველთანი ქმნილნი ხელითა წამალნი დასარგებლონი კაცთანი:.

ესე ლოცვანი წყეულისა მის მხეცისათვის იერუსალიმს ვპოეთ(!) ქრისტეს განწირულნი: სახელითა ღვთისათა მამისა ძისათა და სულისა წმიდისათა: ჯვარი დასწეროს: ესე ლოცვანი ვერცხლის ჭურჭელსა ზედან დასწერე წყლითა მორეცხე თუ იგი ნაკბენი კაცი არ გიახლოს ვინცა გიახლოს მას შეასვი. გინა ნაკბენსა ზედა დასცხე: ვისიცა ესე წერილი იყოს გველისაგან ნუ ეშინინ: ესე ლოცვანი თქვით სამჯერ: მამაო ჩვენო, სამჯერ გვრწამსი. საროი ზართანათაფ ფოროფო შიტანა ლაკეთ ლაზმანა შავშავითა არაკეთა არშონია არმასტანია არამაერთა. ესე სიტყვანი წყეულისა მხეცისათვის ქრისტესგან თქმულნი არიან სამკურნალოდ კაცთა და პირუტყვთათვის.

მივაქცევთ ჩვენი მკვლევარებისა და მეცნიერთა ყურადღებას ლოცვისა ენაზე, რომლის გაგება ჩვენთვის შეუძლებელია.

იუსტ. აბულაძე.

წერილი აჭარიდან

(ორი უდროვო დანაკლისი: აღალი ხოზრევანიძე და ალი-სულთანი მგელაძე).

ამ ერთი თვის წინად ერთ-ერთ ქართულ გაზეთში სიამოვნებით წავიკითხე, რომ წელს ხულოს ორკლასიანი სკოლა დაამთავრა ორმა ახალგაზრდამ **აღალი ხოზრევანიძემ** და სულეიმან მელაძემ. მესიამოვნა, რადგან ვიცოდი რომ ხულოს სკოლის უფროსი მასწავლებელი (ბ-ნი ლ. კვიტაშვილი) ცდილობდა ორივე მოემზადებინა და სამასწავლებლო სემინარიაში მიეცა. ამ რიგად ორი ახალგაზრდა, ორი ადგილობრივი მცხოვრები შეგნებული და თავისიანი მოემატებინა ზემო აჭარას. დიახ თავისიანი, ჩვენ ღრმათ ვართ დარწმუნებული, რომ აჭარის განათლება ისევ თავისიანებით, აჭარლებისავე მეოხებით უნდა მოხდეს. უცხო, მოსულ კაცს ადგილობრივი ყოველთვის აჭარბებს. გარდა ამისა მიბაძვითაც ბევრი კეთდება, ისწავლა ერთმა „ჯამაგირში ჩადგა", ოჯახს წაადგა, იმისი შემხედვარე მეზობელიც წაბაძავს მას და შვილს სწავლას მიაღებინებს.

ხულოს სკოლას სწავლა დამთავრებულების 3—4 წყება უნდა მოეცა, მაგრამ სამწუხაროთ მან ეს ვერ შესძლო, რადგან ხეირიან ზედამხედველებს იქ დიდხანს არ აჩერებდნენ, უხეიროებს კი აჭარლების აღზრდა არაფრად მიაჩნდათ. ამ სკოლამ თავის 14 წლის (თუ ცოტა მეტის) არსებობის ხანაში მხოლოდ ერთი კურს დამთავრებული მოგვცა, ეს იყო ალი-სულთანი მგელაძე, რომელმაც გაიარა მეფუტკრეობის პრაქტიკული კურსები და იანვრიდან საერობო უწყების მეფუტკრეთ იყო ხულოშივე გამწესებული, ცხოვრობდა თავის სახლთან ახლოს და თვიურად იღებდა ხუთ თუმან ჯამაგირს. გარდა მეფუტკრეობისა ალი-სულთანს ეხერხებოდა მეზობლებისათვის „არზუალი" დაეწერა და მოხელეთა უსამართლობისაგან დაეფარა. დიახ, ის კრიჭაში ედგა ყველა იმას ვისაც ზემო აჭარლების გაღლეტა-გაქუცვის მეტი არაფერი ახსოვდა. „ბეჩები" და „ფუხარები" ალი-სულთანში ხედავდნენ მათი ოჯახიდან (გლეხის) გამოსულ მფარველს და კიდეც უყვარდათ ის. გავლენიანი პირები კი კბილს ილესავდნენ და მის საწინააღმდეგოთ ემზადებოდნენ. მაგრამ არ დასჭირდათ არც „დანოსი" და არც მოყიდული მკვლელი. ხალხის მოკეთე, ხალხის შვილი ალი-სულთანი თებერვალში გარდაიცვალა სახადისაგან. ვინც კი ცოტათი იცნობდა ამ ჯერ სრულიად ახალგაზრდას, ცხოვრებაში ახლად შეტოპილ ადამიანს, მისი სიკვდილი ყველას ეწყინა. (გარდა ხალხის მტრებისა, რასაკვირველია).

მოკვდა ალი-სულთანი, მაგრამ სკოლაში დარჩა აღალი ხოზრევანიძე, და ჩვენც იმედს ამ ახალგაზრდაზე ვამყარებდით, მოველოდით რომ ის იზამდა ალი-სულთანობას. მაგრამ საუბედუროთ ეს ახალგაზრდაც იმავე ავადმყოფობის მსხვერპლი გამხდარა. აჭარლების საყვარელ მასწავლებელს სოსოს სწერს ხულოს სკოლის ხოჯა ხაფიზ ეფენდი მეხეშიძე: დიდი უბედურება დაგვატყდა თავს. ეგზამენების 15 დღის შემდეგ აღალი გარდაიცვალა". იტირა მასწავლებელმა და მისმა მეუღლემ; ვიტირე მეც. ახლაც თვალ წინ მიდგას ლამაზი, მორცხვი, წყლით სავსე კდემა მოსილი და შავთვალა 19—20 წლის ჭაბუკი აღალი, ზრდილი, დარბაისელი გატაცებით მოსურნე სწავლის შეძენის.

ის იყო სოფელ ურეყიდან, რომელიც ხულოს 20 ვერსით შორავს. გვარიანი შეძლებული ოჯახის შვილი, სკოლაში მიუბარებია საბრალო დედას, რომელიც დიდი ფხიზელი ადამიანია თურმე და დიდათ სწამს სწავლა-განათლება, არამც თუ ვაჟების, არამედ მუსლიმან ქალებისაც კი. აი რა მიამბო მასწავლებლის მეუღლემ ქ—ნმა სარამ.

აჭარის განადგურების შემდეგ მე და სოსო (მისი მეუღლე) ისევ აჭარაში დავბრუნდით. აღალიმ გვთხოვა ვსტუმრებოდით მის ოჯახს და მისი შობლები გაგვეცნო. ვესტუმრეთ. ჩვეულებრივი ოჯახური იშვიათი სტუმართ მოყვარეობით დაგვიხვდნენ. აღალის დედა დიდი გონიერი ადამიანია. მთხოვა, შემახვეწე შენ ქმარს, რომ მან „ყაზეთით" სთხოვოს ქრისტიან ქართველებს ჩვენს სოფელში ქალებისათვის კლასი გახსნან, ქართული კითხვა და ჭრა-კერვა გვასწავლონ, მასწავლებელ ქალს ჩემს ოჯახში დავბინავებ და რაც შემეძლება პატივს-ვსცემო. დიდათ უნდოდა მის აღალის ეფენდი (მასწავლებელი) სოსო თავის თვალით ენახა, მაგრამ სწუხდა, რომ ეს არ შეეძლო. ამისი მოგვარება მე და აღალიმ ვიკისრეთ, ჯერ ვთხოვეთ მის მეუღლეს, აღალის მამას, ნება დაერთო მეუღლისათვის მასწავლებელს უჩადროთ ჩვენებოდა. მეუღლე დათანხმდა მხოლოდ მამის უნებართოთ ვერ გაბედა, ვთხოვეთ ოჯახის უფროს მოხუცს, მან გვითხრა: აღალის ეფენდი ჩემი შვილია და ჩემ რძალს ნება აქვს ეჩვენოსო. როცა აღალის დედას ეს გამოუცხადეთ სიხარულით თვალები ცრემლით აევსო, მაგრამ სანამ ძალით ხელი არ მოვკიდეთ ისე მაინც ვერ გადასწყვიტა ჩვენებოდა სოსოს. სამი დღე-ღამე დავრჩით ამ ოჯახში და ოჯახის ხანუმი სულ ქალების სკოლაზე და აღალის სწავლის განგრძობაზე გვემუსაიფებოდა. სულ იმას ნატრობდა აღალიც „უჩიტელი" გამოსულიყო. სკოლაში მეორე ვაჟის მიბარებაც უნდოდა, ისიც ნიჭიერი ყმაწვილია.

„ჰოი სიკვდილო, რა საშინელ არს ხსენება შენი!" და აჰა დაიმსხვრა ყველა იმედი, მოიშხამა საწყალი დედის მოსიყვარულე გული, აღარა გვყავს აღალი, ეს მომავალი იმედი ზემო აჭარის, აღარა გვყავს, მაგრამ გული არ უნდა გავიტეხოთ, დედაცა და აჭარაც იმითი უნდა ვანუგეშოთ, რომ აღვზაროდოთ აღალის პატარა ძმა.

მშვიდობით ჩემო კარგო და საიმედო აღალი, ვიდრე აჭარა მახსოვს მანამ არც შენ დაგივიწყებ, ჩემო ჭაბუკო მეგობარო.

აპ. წულაძე.

თეატრი

სურამი.

სამშაბათს, 2 მარიამობისთვეს ადგილობრივ კლუბის სცენაზე მსახიობ ი. ზარდალიშვილის მონაწილეობით გაიმართება წარმოდგენა. დასასრულ ი. ზარდალიშვილი წაიკითხავს თაგუნას შარჟს „ფუტურისტული ლექსები."

ხ ო ნ ი.

კვირას, 24 მკათათვეს ადგილობრივ დასის მიერ წარმოდგენილ იქმნა „საბედისწერო დამბაჩა".

ხუთშაბათს, 4 მარიამობისთვეს ადგილობრივ თეატრში სანდრო ყალაბეგიშვილის საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება სიო ჭანტურიშვილის პიესა, „მორევში".

ქართველი მომღერალი სანდრო კავსაძე ჩამოვიდა და უკვე შეუდგა კონცერტის მზადებას. კონცერტი გაიმართება, სამშაბათს 2 მარიამობისთვეს, აქედან ესტუმრება დ. სამტრედიას.

შემოწირულება

ს ი ა

საეკლესიო მსახურთა პირთა, იმერეთის ეპარქიის, შორაპნის ოლქის საბლაღოჩინოსათვის, რომელთაც ერთ დროებითად შესწირეს **ქართველ მოღვაწეთა აგარაკის აღსაშენებლად:**

ბლაღოჩინი მღ. დავით სუხიაშვილმა 1 მ., მღ. კირილე ღამბაშიძემ 1 მან., მღ. ვასილ ვარგაძემ 50 კაპ., მღ. სამსონ ანთაძემ 50 კაპ., მღ. სიმონ ჭულუხაძემ 50 კაპ., მღ. სამსონ გაჩეჩილაძემ 50 კაპ., მღ. ე. აბესაძემ 50 კაპ, მღ. მ. გაჩეჩილაძემ 50 კაპ., მღ. ვ. ჩხიკვაძემ 50 კაპ., მღ. იერეთეოს ბერიძემ 50 კ., მედავითნე დავით გველესიანმა 50 კაპ., მედ. ონისიმე გორგაძემ 20 კაპ., მღ. გიორგი ანთაძემ 50 კაპ. პრიჩეტნიკმა რომანოზ ნ. 20 კაპ., მღ. გ. მაღრაძემ 50 კაპ., მღ. ბესარიონ გველესიანმა 50 კ., მღ. ან. კვანტრეშვილმა 50 კ., დეკ. რომანოზ გორგაძემ 50 კ., მღ. პ. კვილაძემ 50 კ., მღ. ვ. ფერაძემ 50 კ., მღ. დ. კვიჟინაძემ 50 კაპ., მღ. ბ. ბარათაშვილმა 1 მან., გედევან ჩუბინიძემ 1 მ., მღ. ბ. კელენჯერიძემ 50 კ., მღ. სევერიან გორგაძემ 1 მ., მედავითნემ გ. ბაკურაძემ 5 კაპ., მედ. ვ. ჭამკვატაძემ 10 კ., მედ. ე. ღიბრაძემ 10 კაპ., მედ. მიხეილ ბარამაძემ 30 კაპ., ალექსანდრე კვანტრეშვილმა 20 კაპ., ირაკლი ორაძემ 10 კ., რაფიელ ყანჩაველმა 20 კაპ., და მღ. ივ. ყიფშიძემ 20 კაპ.—სულ 15 მან. და 55 კ.

ბლაღოჩინი მღ. **დ. სუხიაშვილი.**

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

თბილისიდან გადის:

ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	10.33	საღ.
ბორჯომის	სამგზ.	№ 17,	8.27	დილ.
„	სამგზ.	№ 19,	3.19	დღ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	11.13	დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54	დღ.
„	საფ.	№ 4,	9.28	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-3,	11.13	საღ.
თელავისაკენ	№ 4,	7 „	58 „	დილ.

თფილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	9.52	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.43	დილ.
„	სამგზ.	№ 18,	10.12	საღ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08	დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12	საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	8.48	საღ.
თელავიდან	№ 3,	7 „	58 „	საღ.

გერმანეთში მყოფ დატყვეებულების ნათესავთა ნაყურადღებოდ.

ვისაც ჰსურს გერმანეთში მყოფ ტყვეებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა") წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

An die Kommandatur des Kriegsgefangenenlagers

აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი.

Liebesgaben für die russischen Kriegsgefangenen.

აქ ბიუროო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.

Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა **უფასოდ** გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:

Suisse, Bern Ensingnenstrasse, № 48, A. A. Вахерахтъ.

ან კიდევ მეორე:

Banque populaire Suisse, Fond Russepour les prisonnier de guerre.

ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:

Швейцарія Заказное
Suisse. Recommandée
Comité International de la Croix Rouge.
Agence des prisonniers de guerre Genève.

თუ გსურთ,

მიმართეთ ცნობის პონტორას

ი. თ. გვათუასას

თბილისი, ვერის დალმართი,
სახლი მელიქ აზარიანისა № 1

ეს ანგარიშგებულ ნაზე რისამე დაბეჭდვა,
ეს ანგარიშგ. სწავლა ამერიკ. წესით,
ეს საქმის ძალადდის დაწერა,
ეს თარგმნების შედგენა,
ეს საქმის და თარგმნის წარმოება,
ეს ცნობების შეკრება,
ეს მოსასახურის შოვნა,
ეს საკომისიო მინდობილობა,
ეს ბინის გაქირავება,
ეს ბინის შოვნა,
ეს მამულის ყიდვა,
ეს მამულის გასყიდვა,
ეს მამულის დაგირავება,
ეს მამულის იჯარით გაცემა და სხვ.

ეს ყველა საქმეს კონტორა სწრაფლ და პირნათლად ასრულებს.

ხელმისაწვდენ ფასებში

მისამართი პროვინციელთათვის: Тифлисъ, Верійск. спускъ И. Т. Іватуа, Справочная контора.

ქ. ბაქოში

ღვინით ვაჭრობა

„მელაანი"

თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.

იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები

(112—წ.)

ქ. თბილისში, ოლგას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა ტ. ფიგ. მალაზია

„განათლება"-ში

იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.

პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება ავრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი", „საქართველო", „ეშმაკის მათრახი", „თეატრი და ცხოვრება", „სახალხო ფურცელი", „ზვირთი", ჟურნ. „განათლება" კავკასკოე სლოვო „თბილისის ლისტოკი", „ორიზონტი", „ეშმაკი" და „ხათაბალა".

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

თევზის მრეწველნი

**ძმ.